პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

კვირა, 30 დეკემბერი, 1951 წ. № 306 (9160). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში

წარმატებით ჩავატაროთ ზამთრის სასპორტო სეზონი—მოწინავე (1-ლი გვერდი).
ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეოთხე ტომი ქართულ ენაზე (1-ლი გვერდი).
ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობაზე — საახალწლოდ თბილისისა და რუსთავის მშრომელებს (1-ლი გვერდი).
წლიური გეგმები ვადამდე შესრულდებ (1-ლი გვერდი).
გავაფართოოთ შეჯიბრება საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის (მე-2 გვერდი).
სტახანოველთა მიმოწერა (მე-2 გვერდი).
თავისუფალ ხალხთა შემოქმედებითი ძალები — „პრავდის" 29-XII მოწინავე (მე-2 გვერდი).
ნ. შველიძე—ფილმი დიდ სახალხო პოეტზე (მე-2 გვერდი).
ა. ხაჩიძე — პირუტყვის საკავშირო აღწერა (მე-3 გვერდი).
ნ. თუშიშვილი — მოწინავეთა — გამოცდილების დანერგვით ახალ წარმატებას (მე-3 გვერდი).
მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატები — იკუო ოიამა და მონიკა ფელტონი (მე-3 გვერდი).
საერთაშორისო მიმოხილვა (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# წარმატებით ჩავატაროთ ზამთრის სასპორტო სეზონი

საქართველოს ფიზკულტურულმა კოლექტივებმა მნიშვნელოვანი მიღწევებით აღნიშნეს მიმდინარე წლის საზაფხულო სპორტული სეზონი. ახალი წარმატებები იქნა მოპოვებული მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განვითარებისა და სპორტსმენთა ოსტატობის სრულყოფის საქმეში.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ყოველგვარი პირობები აქვთ შექმნილი ნაყოფიერი, შემოქმედებითი მუშაობისათვის. მათ განკარგულებაშია გადაცემული საუკეთესო სასპორტო ბაზები, ნიჭიერ სპორტსმენთა მომზადებული კადრები, ფიზკულტურის სამეცნიერო-საკვლევი, სასწავლო ინსტიტუტები და ტექნიკუმები.

მიმდინარე წლის საზაფხულო სასპორტო სეზონი აღსანიშნავი იყო იმით, რომ რესპუბლიკის ახალგაზრდა სპორტსმენებმა დაამყარეს 161 რესპუბლიკური რეკორდი სპორტის სხვადასხვა სახეში, მოეწყო ახლად შექმნილ ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის" პირველი სპარტაკიადა კოლმეურნე ფიზკულტურელთა მონაწილეობით, წინა წლებთან შედარებით უკეთესად ჩაიარა მოსწავლეთა საზაფხულო ფიზკულტურულმა სპარტაკიადამ; შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა, რომლებმაც საკავშირო შეჯიბრებაში წელს მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვეს. ამასთან ჩვენმა დინამოელებმა სახალხო-დემოკრატიული პოლონეთის ფეხბურთელებთან საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრებში შესანიშნავად დაიცვეს საბჭოთა ქვეყნის სპორტული ღირსება და ბრწყინვალე გამარჯვებით დაბრუნდნენ სამშობლოში.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები მაინც დიდ ვალში არიან სამშობლოს წინაშე. მათ ჯერ კიდევ ვერ შეძლეს წარმატებით გადაეჭრათ პარტიისა და მთავრობის მიერ მათ წინაშე დაყენებული მთავარი ამოცანები: **რესპუბლიკაში ყოველმხრივ განევითარებინათ მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობა, კიდევ უფრო აემაღლებინათ ჩვენი ფიზკულტურელების სპორტული ოსტატობის დონე და ამის საფუძველზე მოეპოვებინათ საკავშირო და საერთაშორისო პირველობა სპორტის სხვადასხვა სახეში.**

ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ წინა წლებში მოპოვებულ წარმატებათა შემდეგ ჩვენი ბევრი ფიზკულტურული კოლექტივი, მათი ხელმძღვანელობა და ცალკეული სპორტსმენი თვითკმაყოფილებას მიეცა, მათში თავი იჩინა მედიდურობამ, ერთგვარმა ყოყოჩობამ, „მეტოქეთა" ძალისა და ოსტატობის შეუფასებლობამ. ასე დაემართათ ჩვენს კალათბურთელებს, ფრენბურთელებს, ძალოსნებს, მძლეოსნებს და სხვ., რომლებმაც მიმდინარე წლის საკავშირო შეჯიბრებებში ველარ შეინარჩუნეს წინათ მოპოვებული წარმატებები. აღნიშნული მდგომარეობა იმითაც არის გამოწვეული, რომ ფიზკულტურულ კოლექტივებში მოწოდების სიმაღლეზე არ დგას მუშაობის ნაკლოვანებათა ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, დაბალია დისციპლინა, ჩამორჩენილია საწვრთნელი მუშაობა..

ზამთრის პერიოდში ფიზკულტურული მუშაობის წარმატების ბედს წყვეტს სასპორტო ბაზებისა და სასპორტო მოწყობილობის სათანადოდ მომზადება. როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში? შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ დედაქალაქის სასპორტო ბაზები და ბაკურიანის სათხილამურო ბაზა შეხვდნენ მომზადებულნი ზამთარს. რესპუბლიკის დანარჩენ ქალაქებსა და რაიონებში, მათ შორის სოხუმში, ბათუმში, ზუგდიდში, მახარაძეში, თელავში, გურჯაანში, ხაშურში, რუსთავში და სხვაგან ზამთრის სასპორტო სეზონის ორგანიზებულად ჩასატარებლად ბევრი არაფერი გაუკეთებიათ. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა ზამთრის მოახლოება ნოემბრის გასულს იგრძნო და მხოლოდ 24 ნოემბერს მიიღო ღონისძიებანი „საზამთრო სპორტული სეზონისათვის მზადების შესახებ".

სანამ ზამთრის სასპორტო სეზონი ჯერ კიდევ მთლიანად არ შესულა ძალაში, საჭიროა ყველაფერი გავაკეთოთ დასახულ სპორტულ ღონისძიებათა შეუფერხებლად განხორციელებისათვის. ადგილობრივმა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ მშთ კომპლექსით გათვალისწინებულ სპორტის საზამთრო სახეებში ნორმების ჩაბარების დავალებათა შესრულებას. ამ მიზნით ფიზკულტურულმა კოლექტივებმა, რომლებსაც ეს დღემდე არ გაუკეთებიათ, უნდა დააკომპლექტონ სექციები სპორტის საზამთრო სახეების მიხედვით.

**ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკურმა კომიტეტმა უნდა გააძლიეროს ხელმძღვანელობა და დახმარება ფიზკულტურის ძირეული კოლექტივებისადმი, უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს მათთვის ხელმძღვანელი ფიზკულტურული კადრების შერჩევასა და აღზრდას, ამ კადრების საქმიანი და პოლიტიკური კვალიფიკაციის ამაღლებას.**

მომავალი წლის იანვარში ბაკურიანში გაიმართება სსრ კავშირის უძლიერეს სამთო მოთხილამურეთა საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესი მოთხილამურე სპორტსმენები. ამ შეჯიბრებაში წარმატებით რომ დაიცვან რესპუბლიკის სპორტული ღირსება, ქართველი სპორტსმენები უნდა ფლობდნენ ოსტატობის მაღალ კლასს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შარშან ჩვენი მოთხილამურეები საკავშირო შეჯიბრებაში მე-6 ადგილზე გამოვიდნენ. ეს მოხდა იმის შედეგად, რომ მათთან არადამაკმაყოფილებლად წარმოებდა სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა. შარშანდელი შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ, სათხილამურო სპორტში 1952 წლის შეჯიბრებებში უკეთესი მაჩვენებლები მოვიპოვოთ.

**ზამთრის სასპორტო სეზონის წარმატებით ჩატარება საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა. ისინი ვალდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ მასობრივ-სასპორტო მუშაობას, სპორტით დააინტერესონ და ფიზკულტურულ კოლექტივებში მიიზიდონ მთელი მოსწავლე, მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობა.** სამწუხაროდ, ზოგიერთ რაიონში კომკავშირული ორგანიზაციები ივიწყებენ ამას. მაგალითად, ტყიბულის, ამბროლაურის, ადიგენისა და ქარელის რაიონებში ფიზკულტურული მუშაობა ფაქტიურად ჩაშლილია. ამ რაიონების ახალგაზრდობა დიდად არის დაინტერესებული სპორტით, მაგრამ იმის გამო, რომ ადგილობრივი კომკავშირული ორგანიზაციები ფიზკულტურული მუშაობის აშკარა შეუფასებლობას იჩენენ, მდგომარეობის გამოსწორების ნიშანიც არა ჩანს.

საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ფიზკულტურულ მუშაობას პროფკავშირის ზოგიერთი რესპუბლიკური კომიტეტები. ამის შედეგად, რესპუბლიკური კომიტეტების მიბაძვით, პროფკავშირთა საქარხნო-საფაბრიკო და დაწესებულებათა ადგილობრივი კომიტეტებიც ნაკლებ მზრუნველობას იჩენენ ფიზკულტურული მუშაობის გაძლიერებისადმი. პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მდგომარეობის გამოსწორებას.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად ამხანაგი სტალინი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის. 1948 წლის დეკემბერში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ისტორიული დადგენილება ჩვენს ქვეყანაში „მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებისა და საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის ამაღლების შესახებ". დიდი მუშაობა იქნა გაწეული ამ დადგენილების განხორციელებისათვის, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. **ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა უფრო მეტად დაინტერესდნენ ფიზკულტურული მუშაობის საკითხებით, ღრმად ჩასწვდნენ ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობას და ქმედითი დახმარება გაუწიონ მათ მუშაობის გაუმჯობესებაში, ზამთრის სასპორტო სეზონის პერიოდში დასახულ ღონისძიებათა განხორციელებაში.**

ფიზკულტურული მოძრაობის მასობრიობის შემდგომი ზრდისა და სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლების ნიშნით ზამთრის სასპორტო სეზონის სანიმუშოდ ჩატარება ჩვენი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

## კ. მარქსის „კაპიტალი" ლატვიურ ენაზე

**რიგა.** (საქდესი). ლატვიის სახელმწიფო გამომცემლობამ ლატვიურ ენაზე გამოუშვა კ. მარქსის „კაპიტალის" პირველი ტომი.

თარგმანი განახორციელა ლატვიის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა—საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალმა.

## წლიური გეგმები ვადამდე შესრულდებ

თბილისის მაკარონის ფაბრიკის კოლექტივი ახალი წარმატებებით ეგებება 1952 წელს. წლიური გეგმა ფაბრიკამ თვენახევრით წინათ შეასრულა და გეგმის გადამეტებით უკვე გამოუშვა 650 ტონა პროდუქცია. ამასთან გადიდებულია შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესებულია პროდუქციის ხარისხი და შემცირებულია თვითღირებულება, რის შედეგად წელს მიღებულია ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი ზეგეგმითი დაგროვება.

1951 წელთან შედარებით მომავალ წელს ფაბრიკამ 13 პროცენტით უნდა გაადიდოს პროდუქციის გამოშვება. ამ დავალების წარმატებით შესრულებისათვის საწარმოში ხორციელდება მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, მიმდინარეობს დაზგა-დანადგარების კაპიტალური რემონტი, დაიდგა მუდმივი მოქმედების 2 ხრახნული წნეხი და 29 ახალი აგრეგატი.

**ჭიათურა.** (საქ. კორ.). მარგანეცის ტრესტის კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს კოლექტივმა 21 დეკემბრისათვის შეასრულა მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების წლიური გეგმა.

მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცისათვის თავდადებულად მუშაობენ სტახანოველი მაღაროელები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი პ. ბოყოველი, ძმები აკაკი და ნიკოლოზ გაფრინდაშვილები, მ. ღუღუნიშვილი, შ. გაფრინდაშვილი და სხვები. ისინი მშვიდობის სტახანოვურ ვახტაზე დგანან და ყოველდღიურ ნორმებს 150-200 პროცენტით ასრულებენ.

**თელავი.** (საქ. კორ.). აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის კოლექტივმა წლიური გეგმა 21 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა, 15,7 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება და დაზოგა 650.000 მანეთის ნედლეული. ფაბრიკამ განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. გეგმით პირველი და მეორე ხარისხის ძაფი 43 პროცენტი უნდა გამოეშვათ, ფაქტიურად გამოშვებულია 69,5 პროცენტი.

**ქუთაისი.** (საქ. კორ.). საკონდიტრო ფაბრიკამ ვადაზე სამი კვირით ადრე სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 100,7 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 131 ათასი მანეთის პროდუქცია.

ქუთაისელ მეკონდიტრეთა ვალდებულებაა წლის ბოლომდე დამატებით გამოუშვან 600 ათასი მანეთის საკონდიტრო ნაწარმი.

## ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეოთხე ტომი ქართულ ენაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეოთხე ტომი.

თარგმანი შეასრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა.

გამოცემის ტირაჟია 20 ათასი ეგზემპლარი.

ოცდამეოთხე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს, რომლებიც დაწერილია 1917 წლის 3 აპრილიდან 3 ივნისამდე.

ტომში შედის აპრილის განთქმული თეზისები, რომლებშიც ლენინმა პარტიას და პროლეტარიატს მისცა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისათვის ბრძოლის თეორიულად დასაბუთებული, კონკრეტული გეგმა და წამოაყენა საბჭოების რესპუბლიკის, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო პოლიტიკური ფორმის, ორგანიზაციის ლოზუნგი.

ნაწარმოებებში: „წერილები ტაქტიკაზე", „პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში", „პოლიტიკური პარტიები რუსეთში და პროლეტარიატის ამოცანები" — განვითარებულია აპრილის თეზისების იდეები.

რსდმპ (ბ) პეტროგრადის საქალაქო და სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენციების მასალები შეიცავს ლენინის გამოსვლებს და რეზოლუციებს ომისა და რევოლუციის ყველა ძირითად საკითხზე: მიმდინარე მომენტის, ომის, დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების, საბჭოების შესახებ, აგრარულ და ნაციონალურ საკითხებზე.

„პრავდაში" გამოქვეყნებული ლენინის სტატიებისა და შენიშვნების („ორხელისუფლებიანობის შესახებ", „ომი და დროებითი მთავრობა", „დამბობილების მნიშვნელობა", „ხალხის დაფრთხობა ბურჟუაზიული შიშით", „მიწის „თვითნებურად დატაცების" შესახებ" და სხვ.) საგანია განუმარტოს მასებს პოლიტიკური ცხოვრებისა და კლასობრივი ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ამბების აზრი, დარაზმოს მასები ბოლშევიკური პარტიის გარშემო და მოამზადოს ისინი სოციალისტური რევოლუციისათვის.

ტომში იბეჭდება მასალები პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის, რომლებშიც ლენინის მიერ დამუშავებულია პარტიის ახალი პროგრამის ძირითადი დებულებები.

ტომში მოთავსებულია ვ. ი. ლენინის თხზულებებში პირველად შეტანილი ცხრამეტი დოკუმენტი.

ამ დოკუმენტების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენციის მასალები: ცხრა რეზოლუცია (ომის შესახებ, დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ, აგრარულ საკითხზე, პარტიული პროგრამის გადასინჯვის შესახებ, საბჭოების შესახებ, ნაციონალურ საკითხზე, მიმდინარე მომენტზე, ბორგბიერგის წინადადების გამო, წვრილბურჟუაზიული ობორონცული ბლოკის წინააღმდეგ ინტერნაციონალისტების გაერთიანების შესახებ) და „შესავალი რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენციის რეზოლუციებისა".

ვ. ი. ლენინის თხზულებებში გამოქვეყნებული რსდმპ (ბ) პეტროგრადის საერთო საქალაქო კონფერენციის მასალები შევსებულია „პროექტით რეზოლუციისა სოციალისტ-რევოლუციონერების, სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) პარტიებისადმი, ეგრეთწოდებული „არაფრაქციული" სოციალ-დემოკრატების პარტიისა და სხვ. მონათესავე პოლიტიკური მიმდინარეობებისადმი დამოკიდებულების შესახებ".

„მონასახი სტატიისა თუ სიტყვისა აპრილის თეზისების დასაცავად" ეკუთვნის იმ ნაწარმოებთა ჯგუფს, რომელნიც ასაბუთებენ და ავითარებენ აპრილის თეზისების იდეებს.

პროკლამაცია „მოწოდება ყველა მეომარი ქვეყნის ჯარისკაცებისადმი" და „სიტყვა პუტილოვის ქარხნის მუშების მიტინგზე 1917 წ. 12 (25) მაისს" მიძღვნილია მიმდინარე იმპერიალისტური ომის მიზეზებისა და მიზნების განმარტებისა და რევოლუციური გზით მისი შეწყვეტის საშუალებებზე ბოლშევიკური შეხედულებების დასაბუთებისადმი.

„რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1917 წლის 20 აპრილის (3 მაისის) რეზოლუციაში დროებითი მთავრობის 1917 წლის 18 აპრილის (1 მაისის) ნოტასთან დაკავშირებით შექმნილი კრიზისის შესახებ" მხილებულია დროებითი მთავრობის პოლიტიკის იმპერიალისტური ხასიათი.

ტომში შეტანილია აგრეთვე „წერილი რედაქციის მიმართ" და „პრავდაში" გამოქვეყნებული სამი სტატია: „კიდევ და კიდევ სიცრუე", „ჯაჭვის სიმაგრეს განსაზღვრავს მისი ყველაზე სუსტი რგოლის სიმაგრე", „ვის დასცინით? საკუთარ თავს დასცინით!", სადაც ლენინი ამხილებს მენშევიკებსა და ესერებს, როგორც იმპერიალიზმის მსახურთ. (საქდესი).

## უკრაინისა და საქართველოს მაღაროელთა შეჯიბრება

**მარგანეცი** (დნეპროპეტროვსკის ოლქი), 27 დეკემბერი. (საქდესი). დღეს „ნიკოპოლ-მარგანეცის" ტრესტის მაღაროელებმა ჭიათურაში თავიანთ ქართველ ამხანაგებს გაუგზავნეს დეპეშა, რომლითაც ატყობინებენ, რომ მათ შეასრულეს ჩვენი ქვეყნის ორი უდიდესი მარგანეცის აუზის კოლექტივების შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. ვადამდე შეასრულეს რა მადნის ამოღების წლიური გეგმა, მათ გაცილებით მეტი მარგანეცი მოგვცეს, ვიდრე 1950 წელს. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 2 მილიონ 223 ათასი მანეთი დაგროვება.

ვოროშილოვის სახელობის სამადნეს № 19 შახტის ახალგაზრდა მნგრეველმა გრიგოლ აკულოვმა, რომელიც ეჯიბრება ჭიათურის სახელგანთქმულ სტახანოველს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს პლატონ ბოყოველს, ორი წლიური ნორმა შეასრულა. მან შემოიღო მარგანეცის მადნის მონგრევის ახალი ხერხი, დაგრძელებულ სვეტებად მონგრევის ხერხი. ასეთი ხერხის შედეგად მაღაროელთა შრომის ნაყოფიერება 35 პროცენტით გადიდდა. ამ სამადნეს გამყვანმა აბრამ კირილენკომ, რომელიც სტახანოველ პავლე მირიტაძეს ეჯიბრება, ერთი-ორად დააჩქარა სამთო გამონამუშევრების გაყვანა და წლის დაწყებიდან 18 თვის ნორმა შეასრულა.

## მოსკოვი ვადამდე ასრულებს ვოლგა-დონის დაკვეთებს

27 დეკემბერს მოსკოვის ქარხანა „სტალმოსტში" შეჯამებულ იქნა ვოლგა-დონის არხის მშენებელთა დაკვეთების შესრულების შედეგები. საწარმომ ვადამდე შეასრულა საპატიო დავალება. არხის სამშენებლო მოედნებზე გაიგზავნა 119 ამწე. ეს მექანიზმები უნაკლოდ მოქმედებენ მოწყობილობის მონტაჟის დროს დასატვირთავ-გადმოსატვირთავ სამუშაოებზე.

წარმატებით შეასრულა „ვოლგადონმშენის" დაკვეთები დედაქალაქის ათობით სხვა სამრეწველო საწარმომ.

20-ზე მეტი მძლავრი მიწისმწოვი მანქანა გაუგზავნა დიად მშენებლობას მოსკოვის კალინინის სახელობის ქარხანამ. ზოგიერთ ამ აგრეგატს ყოველსაათობით შეუძლია შეიწოვოს ათასი კუბური მეტრი თხევადი გრუნტი და გადაისროლოს ორ კილომეტრზე მეტ მანძილზე. კალინინის სახელობის ქარხნის საამქროებში დამზადებულია აგრეთვე არხის რაბებისათვის მძლავრი ტუმბოების პარტია.

იმ დღეს, როცა მწყობრში ჩადგება ვოლგისა და დონის შემაერთებელი წყლის მაგისტრალი, მოქმედებას დაიწყებენ ქარხანა „დინამოში" აგებული ავტომატური აგრეგატები. ათასობით ხელსაწყოთი აღჭურვილი სპეციალური პულტები და პანელები მართავენ რაბების მუშაობას. ვოლგა-დონის მემონტაჟეებმა მაღალი შეფასება მისცეს ვადაზე სამი თვით ადრე გამოშვებულ ამ პროდუქციას.

მოსკოვი განაგრძობს ვოლგა-დონის აღჭურვას ახალი, სრულყოფილი მოწყობილობით. იგი დიად მშენებლობას უგზავნის უდიდეს ტრანსფორმატორებს, მოტორებს, საიზოლაციო მასალებს, კაბელებს, სხვადასხვა მექანიზმებსა და ხელსაწყოებს. (საქდესი).

## ახალი უმაღლესი სასწავლებლები

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით ჩვენს ქვეყანაში ეწყობა მთელი რიგი ახალი უმაღლესი სასწავლებლები.

საქალაქო მეურნეობის ინჟინერთა ინსტიტუტი გაიხსნება სტალინგრადში. ახალი უმაღლესი სასწავლებელი 400 სტუდენტს მიიღებს.

ყიზილში (ტუვის ავტონომიური ოლქი) გაიხსნება სამასწავლებლო ინსტიტუტი. პედაგოგიური ინსტიტუტები ეწყობა პეტროზავოდსკსა (კარელიაფინეთის სსრ) და ტირასპოლში (მოლდავეთის სსრ).

ამ უმაღლეს სასწავლებლებში მეცადინეობა დაიწყება ახალი სასწავლო წლიდან.

ფართოვდება მოსკოვის ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი, რომელიც მაღალკვალიფიციურ კადრებს ამზადებს კომუნიზმის დიად მშენებლობათათვის. (საქდესი).

## მეექვსე მოსიარულე ექსკავატორი

**სვერდლოვსკი,** 28 დეკემბერი. (საქდესი). დღეს ურალის მანქანათმშენებელ ქარხანაში დამთავრდა მეექვსე მოსიარულე ექსკავატორის მექანიზმების გამოცდა. ახალ მძლავრ აგრეგატს აქვს 75-მეტრიანი ისარი 14 კუბური მეტრი ტევადობის ციცხვით. ზოგიერთი კვანძის აწყობისა და მონტაჟის დრო შემცირებულია ერთნახევარჯერ-ორჯერ.

### ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობაზე

## საახალწლოდ თბილისისა და რუსთავის მშრომელებს

ბულაჩაურის წყალსადენის ტრასზე თბილისის მახლობლად საჭიროა აშენდეს დიდი რეზერვუარი. მშენებლებმა ამ პასუხსაგები ჰიდროტექნიკური ნაგებობისათვის შეარჩიეს ყველაზე ხელსაყრელი ადგილი — კლდოვანი ნიადაგი ისეთ სიმაღლეზე, საიდანაც წყალი თვითდინებით წავა დედაქალაქის ყველა უბანში.

ერთი დიდი ნაკლი აქვს მშენებლების მიერ შერჩეულ ამ ადგილს: ძნელია იქ მისვლა, საშენი მასალების მიზიდვა, სამუშაო ფრონტის გაშლა. ეს სიძნელეები განსაკუთრებით ახლა, ზამთრის პერიოდში იჩენს თავს. საშენ მასალათა მარაგის დასაგროვებელი ადგილი იქ არ არის. საგულდაგულოდ გამზადებულ სამშენებლო მოედანზე მხოლოდ იმდენი საშენი მასალა ეტევა, რამდენიც მშენებლებს ერთი დღის განმავლობაში ჰყოფნით. ამის გამო მშენებელ მუშებთან ერთად განუწყვეტლივ მთელი დღეღამის განმავლობაში უხდებათ მუშაობა ავტოტრანსპორტის მუშაკებსაც. ამ ადგილას ღამით, ისიც ზამთარში, საშენი მასალის მიზიდვა ადვილი საქმე როდია. დიდად დაოსტატებული და შრომითი ენთუზიაზმით აღფრთოვანებული უნდა იყოს ავტომძღოლი, რომ მშენებლებს ხელი გაუმართოს, არ მოაკლოს მასალა. რეზერვუარის მშენებლებს სწორედ ასეთი ენთუზიასტი ავტომძღოლები შეურჩიეს, და მათი სახელი ახლა ცნობილია ბულაჩაურშენის მთელ ტრასზე. დავით თვალიაშვილისა და ალექსანდრე ნაზარაშვილის ავტომანქანები შეუფერხებლივ და სრული დატვირთვით მუშაობენ. ავტომობილის ამ შესანიშნავმა ოსტატებმა მანქანების არა მარტო კარგად ტარება იციან, არამედ კარგი მოვლა-პატრონობაც. ასევე ემადლიერებიან მშენებლები მოწინავე ავტომძღოლებს — შაქრო მარტოლეკს, პეტრე ალიხანაშვილს და გიორგი თალაშვილს.

რეზერვუარის მშენებლებმა, რომლებსაც ინჟინერი ბორის კოდუა ხელმძღვანელობს, ახალწლის წინა დღეებში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. მათ დაამთავრეს რეზერვუარის კედლების დაბეტონება, დაიწყეს სახურავის დასაბეტონებლად ქარგილების კეთება და ახლა ეძიებენ ყველაზე ხელსაყრელ საშუალებას იმისათვის, რომ მიუხედავად ამინდისა უზრუნველყონ რეზერვუარის სახურავის მაღალხარისხოვანი დაბეტონება. საბჭოთა მშენებელი ტექნიკოსებისათვის ზამთრის ვითარებაში ბეტონის სამუშაოთა შესრულების მეთოდები ცნობილია. აქ საქმეს ართულებს რეზერვუარის მდებარეობა, რაც მშენებლებისათვის დამატებით სიძნელეს ქმნის, მაგრამ წყალსადენის გამართული მუშაობისათვის მეტად ხელსაყრელია. ამ სპეციფიკური ბულაჩაურული სიძნელის გადასალახავი საშუალებაც გამონახულია. გადაწყვეტილია სახურავის დაბეტონება მოახდინონ სპეციალური შემადგენლობის ბეტონით, ქარგილში ჩასხმული ბეტონი დაათბუნონ როგორც გარეთა, ისე შიგნითა მხრიდან. ამისათვის რეზერვუარში, რომელიც საგრძნობლად დიდი მოცულობისაა, გადაწყვიტეს დადგან ღუმელები და ვინაიდან რეზერვუარის კედლები მზად არის, სახურავის ქარგილიც მზ ა არის, ღუმელი ჰაერს გაათბობს, თბილი ჰაერი კი შიგნიდან ბეტონის „მომწიფებას" უზრუნველყოფს.

მშენებლებმა გადაწყვიტეს საახალწლოდ დაამთავრონ რეზერვუარის ფიცრულით გადახურვა, ქარგილებს გამართვა, ჩაატარონ ცდა ახალი წესით ბეტონის სამუშაოთა შესასრულებლად და საჯსებით მოათავონ რეზერვუარის აგება, სახურავს გარდა.

ახალწლისათვის ყველა ამ სამუშაოთა შესრულება იმის გარანტია იქნება, რომ უმოკლეს დროში შესაძლებელი გახდეს სათავიდან წამოსული წყლის მიღება, მისი გაშვება თბილისისაკენ. მალე აქედან შესაძლებელი იქნება წყლის გაშვება რუსთავისაკენაც. ამიტომ მიაჩნიათ მშენებლებს ამ რეზერვუარის მშენებლობის სწრაფად დამთავრება სასწრაფო საქმედ. ამიტომ თვლიან ისინი სახურავქვეშ საჭირო სამუშაოთა დამთავრებას თბილისისა და რუსთავის მშრომელთათვის მათ მიერ მიძღვნილ საუკეთესო საახალწლო საჩუქრად.

• • •

რეზერვუარის მშენებლებს წარმატებით ეჯიბრებიან ფოლადის საწნეო მილსადენის მემონტაჟეები, რომლებსაც მეტალურგმშენის ტრესტის მთავარი მექანიკოსი ინჟინერი გიორგი ბარამიძე ხელმძღვანელობს. მათაც გადაწყვიტეს, რომ ეს მილსადენი, რომელმაც მრავალ ატმოსფერულ წნევას უნდა გაუძლოს, გაამზადონ საგრძნობლად დიდ მანძილზე, მოახდინონ მილების მაღალხარისხოვნად შედუღება და მთელი მილსადენის გამზადება იმ დროისათვის, როცა მზად იქნება განმაწილებელი რეზერვუარი.

მილსადენის მემონტაჟეთა შორის საახალწლო ვალდებულებათა შესრულებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ინჟინერ ივანე ბიკოვსკის ხელმძღვანელობით მომუშავე ბრიგადები.

ჰიდროსაიზოლაციო ნივთიერებით შავად გაკრიალებული, ოთხმაგად ერთმანეთთან შედუღებული დიდდიამეტრიანი ფოლადის მილები ტრანშეის პირას აწყვია. გრძელხორთუმიანი მძლავრი ამწეები მილებს ტრანშეის სიღრმეში უშვებენ, წინ მიიწევენ, აღმართზე ამოჰყავთ ტრანშეას უახლოვდებიან.

ახალი წლის განთიადს ისინი ამ აღმართის დასაწყისთან უნდა შეხვდნენ.

**დ. ლომთაძე**

# ᲒᲐᲕᲐᲤᲐᲠᲗᲝᲕᲝᲗ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

## ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲮᲐᲜᲝᲕᲔᲚᲗᲐ, ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

რამდენიმე დღეა, რაც თბილისში იმყოფება საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორი, კრასნოხოლმის საფეიქრო კომბინატის საქსოვი საამქროს ოსტატი, სტალინური პრემიის ლაურეატი ამხ. ა. ჩუტკიხი. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში იგი გაეც- [illegible]

[illegible] კრისთა ქმედით დახმარებას, თვითეული მუშისადმი გულისხმიერ მოპყრობას.

თბილისის იმ საწარმოებში, რომელთა მუშაობას გავეცანი, გაცილებით მეტი შესაძლებლობაა პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, მაგრამ ეს შესაძლებლობანი ჯერ [illegible]

[illegible]

წარმატების მოპოვებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მუშების, დირექციის, პროფორგანიზაციის, ოსტატისა და ოსტატის თანაშემწის კონტაქტურ მუშაობას, ინჟინერ-ტექნი- [illegible]

[illegible] თა ბელადს, მშვიდობის დიდ მედროშეს ამხანაგ სტალინს.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ამხანაგები თ. ქელივიძე, ვ. გოგლიძე და ბ. ლელიძე.

სტახანოველთა მიმოწერა

# ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — ᲚᲘᲣᲑᲚᲘᲜᲝ

ამ დღეებში თბილისის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის კოლექტივის დავალებით მოწინავე სტახანოველებმა ზ. დელიბაშვილმა, ი. გორბაჩოვმა, გ. არუთინოვმა, პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ც. ჯიბლაძემ, კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ა. ხელაძემ და საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. მყონიამ წერილი გაუგზავნეს ლიუბლინოს კაგანოვიჩის სახელობის სამსხმელო-მექანიკური ქარხ- [illegible]

[illegible] და შეამცირონ თვითღირებულება.

— თქვენს პატრიოტულ თაოსნობას თვითეული საწარმოო ოპერაციის საუკეთესო ხარისხით შესრულების შესახებ ჩვენი ქარხნის კოლექტივი მხურვალედ უჭერს მხარს, — ნათქვამია წერილში.

# ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲔᲔᲥᲡᲙᲐᲕᲐᲢᲝᲠᲔᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ნოემბრის ნომერში გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა" გამოაქვეყნა ახალგაზრდა საქმიანი მეექსკავატორის გურამ კორკოტაძის და ვოლგა-დონის არხის მშენებლობის მონაწილე ექსკავატორის კომკავშირულ-ახალგაზრდული ეკიპაჟის წევრების ი. ხუდიაკოვის, ა. კონდრატიუკის და ნ. ლუკინის მიმოწერა. გ. კორკოტაძე მოძმე მეექსკავატორეებს მოუთხრობს თავის შრომით მიღწევებზე და წინადადებას აყენებს მოიწვიოს ვოლგა-დონისა და სამგორწყალმშენის სტახანოველთა შრომითი ურთიერთგამოძახება.

გაზეთის 22 დეკემბრის ნომერში მოთავსებულია გ. კორკოტაძის მეორე წერილი მოსიარულე ექსკავატორის [illegible]

[illegible] ცენტით გადაჭარბებით. ვალდებულება გადაჭარბებით შევასრულე — ოქტომბერში გეგმა 161 პროცენტით გავანაღდე, ხოლო ნოემბერში — 200 პროცენტით. ამასთან დავზოგე საწვავი და საპოხი მასალები. ექსკავატორი არ გამიჩერებია საშუალო შეკეთებისათვის".

# ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ ᲒᲝᲠᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲡ

ᲒᲝᲠᲘ. (საქ. კორ.). ნაყოფიერად მუშაობს გორის ხორცკომბინატი (დირექტორი ს. კიკნაძე), რომელსაც მესამე კვარტალის საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა.

ჯილდოს მიღებას კომბინატის კოლექტივმა მუშაობის გაძლიერებით უპასუხა და წლიური გეგმა ვადამდე 110 პროცენტით შეასრულა. გაჩაღებულია ბრძოლა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 200 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებისათვის.

# ᲮᲝᲠᲪᲘ ᲓᲐ ᲫᲔᲮᲕᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. (საქ. კორ.). თელავის ხორცკომბინატის კოლექტივმა წლიური საწარმოო გეგმა 10 დეკემბრისათვის 113 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 630 ცენტნერი ხორცი და 100 ცენტნერი ძეხვეული. კომბინატის კოლექტივი წლიური გეგმის გადამეტებით 1952 წლის 1 იანვრისათვის სამშობლოს საჩუქრად უმზადებს 5.000-ზე მეტ კილოგრამ ხორცსა და ძეხვეულს.

კ ი ნ ო

# ᲤᲘᲚᲛᲘ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲞᲝᲔᲢᲖᲔ

კიევის კინოსტუდიის ახალი ფერადი მხატვრული ფილმი „ტარას შევჩენკო" ამაღელვებლად მოგვითხრობს დიდი უკრაინელი პოეტის ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკოს ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

შევჩენკოს მთელი ცხოვრება მშრომელი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის დაუცხრომელი ბრძო- [illegible]

ფილმში კარგად არის მოცემული მშრომელი ხალხის უკრაინის დამპყრობლებთან, მემამულეების უკრაინასთან.

მიუხედავად იმისა, რომ მემამულეებს საშინლად სძულთ თავისუფლების მომღერალი პოეტი, ისინი ცდილობენ თავის მხარეზე გადაიყვანონ იგი. მაგრამ შევჩენკო ერთი წუთითაც [illegible]

მაყურებელზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს რიგითი ჯარისკაცის სკობოლევის დასჯა. სკობოლევი დასჯის წინ სთხოვს კაპიტან კოსაროვს გამოიყვანოს მწყობრიდან შევჩენკო. ის იცნობს პოეტს. სკობოლევმა იცის, რომ შევჩენკოს მგრძნობიარე გული ვერ აიტანს მის საშინელ წამებას და ვინ იცის რას არ ჩაიდენს იგი, რასაც [illegible]

[illegible] ლ ოფიცერთა შორის [illegible]გორც ადამიანი მხე- [illegible]

[illegible]გად იცის, რომ მას [illegible] მიიწვევდნენ ბატონი [illegible] გრძნობს, თუ რას [illegible] მაგრამ უკან არ იხევს [illegible] პასუხებს ოფიცერთა [illegible]ჩენკო ამბობს ადამია- [illegible] ვდომ სიტყვას და გა- [illegible]ოდის ამ უთანასწო- [illegible]

[illegible] ტორების ა. კოლცატის, დ. დემუცკისა და ი. შეკერის მაღალ ოსტატობას მოწმობს. განსაკუთრებით წარმტაცია დნეპრის მომხიბლავი პეიზაჟები.

სურათი მდიდარია ბუნებრივი ფერებით. ამ მხრივ იგი საუკეთესო საბჭოთა ფერადი ფილმების რიცხვს ეკუთვნის. ფილმი „ტარას შევჩენკო" მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებია. იგი საბჭოთა კინემატოგრაფიის დიდი გამარჯვებაა.

**ნ. ᲨᲕᲔᲚᲘᲫᲔ**

# ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ

მიწურული 1951 წელი დემოკრატიისა და მშვიდობის ბანაკის ძალების შემდგომი ზრდითა და განმტკიცებით აღინიშნა. დიდმა საბჭოთა კავშირმა, რომელიც ამ ბანაკის მთავარი, წამყვანი ძალაა, ახალი გამარჯვებანი მოიპოვა კომუნისტურ მშენებლობაში. [illegible]

[illegible] დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს აღაფრთოვანებენ იმისათვის, რომ თავდადებით იბრძოლონ ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

სახალხო-დემოკრატიული წყობილების გამარჯვებანი მკაფიოდ მოწმობენ, რომ ხალხებს, რომლებმაც სა- [illegible]

[illegible] ბი. მშრომელთა ათასობით საუკეთესო წარმომადგენელი ახლა მუშაობს სახელმწიფო აპარატში, ხელმძღვანელობს ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საქმეს.

მასების დიდი შრომითი აქტივობისა და შემოქმედებითი ინიციატივის მკაფიო გამოხატულებაა სახალხო-სამეურნეო გეგმების ვადამდე და მაღალი ხარისხით შესრულებისათვის შეჯიბრების ფართო გაქანება. ახლა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, ჩინე- [illegible]

[illegible] ონის ნარჩენების რა- [illegible] მოყენებისათვის მოძ- [illegible]ბია 63 წლის მუშა [illegible]

ჩვენს ქარხანაში ას ორმოცდაათი ჩქაროსანია.

შეჯიბრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ სახალხო დემოკრატიის [illegible]

[illegible] ლონ მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ფრონტზე ახალი გამარჯვებებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ" 29/XII ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ

კომუნისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირუტყვის საკავშირო აღწერა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1952 წლის 1 იანვარს მთელ საბჭოთა კავშირში დაიწყება პირუტყვის საკავშირო აღწერა. ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. აღწერის შედეგები გვიჩვენებს, თუ როგორ არის შესრულებული საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების 1949-1951 წლების სამწლიანი გეგმა და რა წარმატებებია მოპოვებული მეცხოველეობის დარგში 1951 წელს.

აღწერა გაგრძელდება 8 დღეს და მოიცავს არა მარტო სასოფლო რაიონებს, არამედ ქალაქებსაც. საქართველოში ამ საქმის ხელმძღვანელობა დავალებული აქვს რესპუბლიკურ სტატისტიკურ სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს. აღწერაში მონაწილეობას მიიღებს რამდენიმე ათასი აღმწერი და საკონტროლო ბრიგადების ხელმძღვანელი.

ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს დავალებული აქვთ ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს აღწერის საუკეთესოდ ჩატარებისათვის. აღწერის წარმატება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მომზადებული შეხვდება მას რესპუბლიკის მოსახლეობა, რომ ზუსტი ცნობები მიაწოდოს აღმწერლებს პირუტყვის სულადობისა და ასაკობრივი შემადგენლობის შესახებ.

გასულ წლებში აღმწერლები ზოგჯერ კმაყოფილდებოდნენ ზერელე ცნობებით, პირუტყვს თვითონ არ ნახულობდნენ და არ ითვლიდნენ. იყო შემთხვევა, როცა ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარისა და ბუხჰალტრის უპასუხისმგებლო მუშაობის შედეგად, რაშიც ბრალი მიუძღვით აგრეთვე რაისაბჭოს აღმასკომების სოფლის მეურნეობის განყოფილებებსაც, პირუტყვის ინვენტარიზაცია 1 იანვრისათვის არ იყო დამთავრებული. ცალკეულ კოლმეურნეობებში აღწერის დროს იყო აშკარა ბოროტმოქმედებაც, როცა გეგმის „შესრულების" მიზნით ხელოვნურად იყო გაზრდილი პირუტყვისა და ფრინველის სულადობა ან წველადობის მაჩვენებლები.

ასეთი უმსგავსოებანი აღწერის დროს სასტიკად უნდა იქნას აღკვეთილი, ხოლო თუ ვინმე შეეცდება თავისი ცუდი მუშაობის დაფარვის მიზნით დაამახინჯოს აღწერის ბლანკში მეცხოველეობის მაჩვენებლები, დამნაშავე დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

აუცილებელია მოეწყოს პირუტყვის აღწერის შედეგების ათპროცენტიანი შერჩევითი შემოწმება. მიღებული შედეგები საფუძვლად უნდა დაედოს აღწერის რაიონული ჯამების შესწორებასა და დაზუსტებას.

საკონტროლო შემოწმებისათვის შერჩეულ სოფლებში პირუტყვის სულადობის ზუსტად დადგენასთან ერთად, წინა წლებისაგან განსხვავებით, უნდა მოეწყოს აგრეთვე პირად სარგებლობაში არსებული ფრინველის აღრიცხვა. საჭიროა მოსახლეობას განემარტოს, რომ ფრინველის აღრიცხვის მიზანი ის არის, რომ ზუსტად გავიგოთ რესპუბლიკაში არსებული რაოდენობა და დავსახოთ ღონისძიებანი მეფრინველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონებისა და უბნების ინსპექტორები ვალდებული არიან ყოველდღიურად შეამოწმონ აღწერისა და საკონტროლო შემოვლის მსვლელობა, გასინჯონ თვითეული აღმწერის ნამუშევარი და მიიღონ სასწრაფო ზომები შემჩნეულ ნაკლოვანებათა ადგილზევე გამოსასწორებლად.

აღწერა ისე უნდა ჩატარდეს, რომ საჭირო აღარ გახდეს მისი მონაცემების განმეორებით შემოწმება შემოვლის წესით, როგორც ეს ხშირად ხდებოდა წინა წლებში. საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ აღწერის ცნობების ხელმეორედ და მესამედ შემოწმება შემოვლის წესით ხშირად იწვევს გაუგებრობას და შეცდომებს აღწერის ბლანკებში. თუ აღწერის ცნობები სიზუსტის თვალსაზრისით რაიმე ეჭვს იწვევს, მაშინ აღწერა დასახელებულ პუნქტში ხელახლა უნდა ჩაატაროს სხვა აღმწერმა.

სასოფლო საბჭოებმა და კოლმეურნეობათა გამგეობებმა აღმწერთა დასახმარებლად უნდა გამოჰყონ მცოდნე, უნარიანი მუშაკები. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აღწერის შედეგების გულდასმით განხილვას მოსახლეობის კრებებზე. კოლმეურნეობათა პირუტყვის აღწერის მონაცემები მოსმენილ და განხილულ უნდა იქნას კოლმეურნეთა საერთო კრებებზე. განხილული უნდა იქნას აგრეთვე პირად სარგებლობაში არსებული პირუტყვის აღწერის შედეგები. პირუტყვის გადამალვის, გამორჩენის ან ზედმეტად აღრიცხვის შემთხვევაში აღმწერი ვალდებულია განმეორებით მივიდეს და დააზუსტოს ადგილზე პირუტყვის სულადობა.

ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს პირუტყვის ასაკობრივი შემადგენლობის სწორად დადგენას, რომ ზუსტად განისაზღვროს დეკეულების, უშობლებისა და ძროხების სულადობა.

აღწერის სწორად ჩატარებასთან ერთად სერიოზული ყურადღების ღირსია მისი შედეგების შეჯამება, წინა წლის ცნობებთან შედარება, მასალების სოფლსაბჭოს აღმასკომის სხდომაზე განხილვა და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონის ინსპექტურაში დროულად წარდგენა. სოფლსაბჭოს აღმასკომის მიერ შეჯამებულ მასალებს თან უნდა ახლდეს სათანადო განმარტებითი ბარათი და განხილვის ოქმები.

პირუტყვის აღწერის სანიმუშოდ მოწყობა არა მარტო სტატისტიკური სამმართველოს, არამედ სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის, თვითეული მშრომელის საპატიო საქმეა.

ა. ხაჩიძე
საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე

# მოწინავე მეცხოველეები

ბორჯომის რაიონის სოფელ ციხისჯვრის კოლმეურნეობაში სერიოზული ყურადღება ექცევა მეცხოველეობის განვითარებას. გადაჭარბებით არის შესრულებული მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმები, აგრეთვე წველადობის გეგმა. თვითეულ ძროხაზე ნაცვლად 1.200 ლიტრისა მიღებულია 1.321 ლიტრი რძე, სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარეს 18.581 ლიტრი რძე.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს ცალკეულმა მწველავებმა. მწველავმა ეკატერინე ტოსუნოვამ 13 ძროხაზე საშუალოდ მიიღო 2.000 ლიტრი რძე თვითეულზე. № 503 ძროხამ 11 თვის განმავლობაში მოიწველა 2.860 ლიტრი რძე, გეგმა კი 1.200 ლიტრს ითვალისწინებდა, № 408 ძროხამ — 2.400 ლიტრი, № 750 — 2.300 ლიტრი.

ძროხების წველადობის გადიდების საქმეში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს აგრეთვე მწველავებმა თამარ და წოწოლა ბარძიმაძეებმა, ნინო და სოფიო ტოსუნოვებმა.

პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების მიზნით შეიცვალა ჯიშის ბუღა მწარმოებლების ადგილობრივ ჯიშთან შეჯვარებით მიღებულია მეტისები, რომლებიც საუკეთესოდ ეგუებიან ადგილობრივ პირობებს და ბევრ რძეს იძლევიან.

ციხისჯვრელმა მეცხოველეებმა დროულად იზრუნეს პირუტყვის გამოზამთრებისათვის. დიდი რაოდენობით მოიმარაგეს უხეში, კონცენტრირებული და წვნიანი საკვები.

ვ. გურგენიძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

# დეკორაციულ მცენარეთა ახალი ჯიშები

**სოხუმი.** (საკ. კორ.). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ბოტანიკური ბაღის მეცნიერი მუშაკები ენერგიულ მუშაობას ეწევიან დეკორაციულ საყვავილე მცენარეთა ახალი ჯიშების გამოსაყვანად. ბოტანიკურ ბაღში არის დენდროლოგიური პარკის მშვენიერი კოლექცია. იგი თავისებური „ცოცხალი მუზეუმია", რომელიც შეიცავს სხვადასხვა მცენარეთა 580 სახეობას, 40 სახესხვაობას და 1.000-ზე მეტ ჯიშს.

ბაღში მოწყობილია ე. წ. „ალპური გორაკი", სადაც ხარობს 120-ზე მეტი სახეობა. ისინი ყვავილობენ წლის სხვადასხვა დროს. აქ არის დასავლეთ საქართველოს ფლორის დეკორაციული მცენარეები იმ სახით, როგორც ისინი ვითარდებიან ალპური ზონის ბუნებრივ პირობებში.

ამ ნაკვეთზე მიჩურინ-ლისენკოს მეთოდით წარმოებს მცენარეთა ახალი ჯიშების გამოყვანა. ადგილობრივი ბაღის პირობებს შეგუებული, უფრო ლამაზი და დიდი ხნით ყვავილობადი უნარიანი მცენარეების გამოყვანის მიზნით ბაღში თავმოყრილია ჩვენი ქვეყნის ბოტანიკურ ბაღებში გახარებული ვარდების, ნარცისების, იორდასალამის, მიხაკისა და სხვ. ჯიშები და ფორმები.

ახლა აქ გამოყვანილია გერბერის 85 ფორმა, გეორგინის 80 ჯიში, მოკლე ყვავილოვანი ხრიზანტემის 120 დეკორაციული ჯიში, რომლებიც ოქტომბერ-დეკემბერში ყვავილობენ.

## მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატები

# იკუო ოიამა

ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის სახელოვან მებრძოლთა პლეადას ეკუთვნის იაპონელი პატრიოტი, პარლამენტის დეპუტატი, პროფესორი იკუო ოიამა.

იკუო ოიამა დაიბადა 1880 წელს, ხიოგოს პრეფექტურაში, ექიმის ოჯახში. უმაღლესი განათლება მიიღო ტოკიოში.

პირველი მსოფლიო ომის დროს იკუო ოიამა, როგორც ჟურნალისტი, დაუნდობლად ამხელდა იაპონელ რეაქციონერებს და დიდ როლს ასრულებდა დემოკრატიის ძალთა შემჭიდროების საქმეში.

იკუო ოიამას ხელმძღვანელობით 1926 წელს შეიქმნა იაპონიის მუშათა და გლეხთა პარტია. იგი თვითონ იყო ამ პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის პირველი თავმჯდომარე.

„ძაიბაცუს" მსხვილმა კაპიტალისტურმა მონოპოლიებმა და მათმა აგენტებმა გაანადგურეს იაპონიის მუშათა და გლეხთა პარტია. ოიამას სიცოცხლეს საფრთხე მოელოდა. 1932 წელს ის მიდის ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მეორე მსოფლიო ომში იაპონელ იმპერიალისტთა დამარცხების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ოიამა დარწმუნდა, რომ ამერიკელი ოკუპანტები ხელს კი არ უწყობენ იაპონიის დემილიტარიზაციასა და დემოკრატიზაციას, არამედ აქეზებენ ომის დამნაშავეებს, ღვივებენ რევანშისტულ განწყობილებას და საზარბაზნე ხორცად უპირებენ გამოყენებას იაპონელ ხალხს.

იკუო ოიამას ინიციატივით 1949 წლის აპრილში იაპონიაში გაიმართა

მშვიდობის დაცვის პირველი ეროვნული კონგრესი. ამ კონგრესმა საფუძველი ჩაუყარა იაპონელი ხალხის ორგანიზებულ ბრძოლას მშვიდობის დასაცავად. წელს 6 მილიონზე მეტმა იაპონელმა მოაწერა ხელი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ.

მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესმა ოიამა დაუსწრებლად აირჩია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრად, რადგან ამერიკელმა ხელისუფლებმა მას არ მისცეს კონგრესზე დასწრების შესაძლებლობა. 1951 წლის თებერვალში ოიამა შეყვანილ იქნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროში.

ოიამა მოითხოვს იაპონიასთან სამართლიანი საზავო ხელშეკრულების დადებას. სან-ფრანცისკოს გადაწყვეტილების გამო პარლამენტის მე-12 სესიაზე მან განაცხადა: „სან-ფრანცისკოში ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულება და უშიშროების პაქტი პოტსდამის დეკლარაციის აშკარა დარღვევაა. სწორედ ამიტომ ამ ხელშეკრულებისა და პაქტის მიღება საშიშროებას წარმოადგენს იაპონიის როგორც დემოკრატიული ქვეყნის არსებობისათვის, მისი ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის და მშვიდობისათვის შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში".

მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ოიამა აღფრთოვანა ცნობამ მისთვის მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის მინიჭების შესახებ.

— სტალინური პრემია, — განაცხადა მან, — დიდი პატივია იაპონელი ხალხისათვის, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იბრძოდა ომის წინააღმდეგ. ვფიცავ მთელი ჩემი სიცოცხლე მოვახმარო მშვიდობისათვის ბრძოლას.

# მონიკა ფელტონი

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემია მიენიჭა ინგლისელ ქალს, მშვიდობისა და სიმართლისათვის გაბედულ მებრძოლს — მონიკა ფელტონს.

მრავალი წლის განმავლობაში მონიკა ფელტონი, როგორც ლეიბორისტული პარტიის წევრი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ პარტიის საქმიანობაში. ცხრა წლის განმავლობაში იგი ლონდონის საგრაფოს საბჭოს წევრი იყო.

მონიკა ფელტონი შედიოდა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის კომისიაში, რომელმაც გამოიკვლია ამერიკელ აგრესორთა ბოროტმოქმედებანი კორეაში. მონიკა ფელტონმა საკუთარი თვალით ნახა დამწვარი ქალაქები და სოფლები, ამერიკელი კაცისმკვლელების მიერ ათასობით წამებული უდანაშაულო ადამიანები — ქალები და კაცები, მოხუცები და ბავშვები. „კორეაში წასვლამდე, — ამბობს მონიკა ფელტონი, — მე ვთვლიდი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები უნდა იმყოფებოდნენ კორეაში. ახლა მე მიმაჩნია, რომ ისინი გამოყვანილ უნდა იქნან იქიდან". კორეიდან ლონდონში გამგზავრების წინ ერთი კორესპონდენტის კითხვაზე — „ხომ არ აპირებთ ილაპარაკოთ სიმართლე ყოველივე იმის შესახებ, რაც თქვენ ნახეთ?", მონიკა ფელტონმა უპასუხა: „ვილაპარაკო? მე ვაპირებ ვიყვირო ამის შესახებ ყველგან, სადაც კი მო-

მიხდება ყოფნა და მანამდე, სანამ ცოცხალი ვიქნები".

კორეიდან დაბრუნების შემდეგ მონიკა ფელტონმა შემოიარა დიდი ბრიტანეთი, ასობით მიტინგი მოაწყო და უამბო ინგლისელებს სიმართლე ამერიკელი აგრესორების სიმხეცისა და კორეელი ხალხის ტანჯვის შესახებ. რეაქციონერები მას დაპატიმრებით ემუქრებოდნენ. იგი მოხსნილ იქნა ქალაქ სტივნაჯის მშენებლობის კორპორაციის თავმჯდომარის თანამდებობიდან. მუქარამ ვერ გატეხა სიმართლისმოყვარე მონიკა ფელტონი. „მე მივაღწევ, რომ სიმართლე კორეაში ომის შესახებ იცოდეს ყველამ, რადაც უნდა დამიჯდეს ეს", — განაცხადა მან ერთ-ერთ მიტინგზე.

მონიკა ფელტონი დიდი აღფრთოვანებით ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკაზე. „საბჭოთა კავშირის ბრძოლას მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა ქვეყნის უბრალო ადამიანებისათვის. ეს ბრძოლა დამყარებულია არა შიშზე ომის წინაშე, არამედ რწმენაზე და იმედზე, რომ მშვიდობის საქმე გაიმარჯვებს".

მონიკა ფელტონი დიდი სიხარულით შეხვდა ცნობას მისთვის საერთაშორისო სტალინური პრემიის მინიჭების შესახებ. მან განაცხადა: „საერთაშორისო სტალინური პრემიის მონიჭება ჩემთვის გამოუთქმელი სიამაყის წყაროა. ეს ყველაზე დიდი პატივია, რომელზეც კი შემეძლო მეოცნება ჩემს ცხოვრებაში"!.

# მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებით ვაღწევთ წარმატებებს

★
ნ. თუშიშვილი
თბილისის მაუდ-კამვოლური ფაბრიკის დირექტორი
★

საწარმოს გამართული მუშაობის, პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების განუხრელად გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა წარმოებაში მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელება. გავეცანით თუ არა მოსკოვის ფაბრიკა „პროლეტარსკაია პობედას" მთავარი ინჟინრის, სტალინური პრემიის ლაურეატის ამხ. ფ. კოვალიოვის თაოსნობას მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებისა და ფართოდ დანერგვის საქმეში, დაუყოვნებლივ შევუდექით საამქროების მიხედვით თვითეული სტახანოველის მიერ შესრულებული სამუშაოს მეთოდების შესწავლას. მიღებული შედეგების მიხედვით აღვწერეთ და განვაზოგადეთ მოწინავეთა მუშაობის ხერხები, დავამზადეთ მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა სპეციალური ფოტოილუსტრაციები და მოვაწყეთ მათი გამოფენა საამქროებში.

გარდა ამისა, მოვაწყეთ სპეციალური კურსები მოწინავეთა საწარმოო გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის. ამ კურსებზე ინსტრუქტორებად გამოვყავით მოწინავე სტახანოველები, რომლებსაც თავიანთი მუშაობის ხერხები და მეთოდები უნდა ესწავლებინათ დანარჩენი მუშებისათვის. მაგალითად, როდესაც კამვოლურ საამქროში მეფთილეთა მუშაობაზე მოვახდინეთ დაკვირვება, გამოირკვა, რომ მეფთილე ნადეჟდა ჩანჩიბაძე გაწყვეტილი ფთილის გადაბმას ათ წამში ასრულებდა, როცა მეფთილეთა უმრავლესობა ამ ოპერაციის შესრულებას თოთხმეტ წამზე მეტს ანდომებდა. აღნიშნული ოპერაციის შესასრულებლად 19 მოძრაობაა საჭირო, რასაც ნ. ჩანჩიბაძე დაკვირვებული და მოქნილი მუშაობით მინიმალურ დროში ასრულებს. აი როგორ აღწევს მოწინავე მეფთილე ამ წარმატებას: იგი გაწყვეტილ ფთილას მოხერხებულად იკავებს თითებში, ზომაზე მეტად არ ჭიმავს მას და რაც შეიძლება ნაკლებ მოძრაობას აკეთებს, რითაც დროს იგებს, და სამუშაოც უფრო ხარისხიანად სრულდება. სტახანოველმა ჩანჩიბაძემ ფთილის გადაბმის თავისი მეთოდი ორმოცამდე მუშას შეასწავლა, რის შედეგად საამქროში ამ ოპერაციის შესრულების სისწრაფე 17,6 პროცენტით გაიზარდა.

ამავე საამქროში მოწინავე მგრეხავ ანასტასია ინსუროვას მუშაობის ხერხების შესწავლით 38 მუშამ 16,2 პროცენტით გაადიდა ძირითადი ოპერაციების შესრულების სისწრაფე. სტახანოველმა მრთველებმა ვარდო ჯობაძემ და ლიზა ილინამ 64 მუშას გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება, რის შედეგად მუშებმა საწარმოო ოპერაციების სისწრაფე 10-12 პროცენტით გაზარდეს.

მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებამ კიდევ უკეთესი შედეგები მოგვცა საქსოვ საამქროში, სადაც 116 მქსოველმა, რომლებმაც სტახანოველი ფეიქრების ივეტა სოლომონიშვილისა და ბარბარე სარმასოვას მუშაობის ხერხები და მეთოდები შეისწავლეს, 24,4 პროცენტით შეამცირეს ოთხი ძირითადი ოპერაციის შესრულების დრო. თუ წინათ ისინი მაქოს გამოცვლას ძაფის წვერის მოძებნით და წვერის მოქმებნილად, აგრეთვე ქსელისა და მისაქსელის ძაფის გაწყვეტას ლიკვიდაციას 204 წამს ანდომებდნენ, ახლა ამ სამუშაოს 156 წამში ასრულებენ.

მაუდის საამქროს სტახანოველმა ლიდა კრასნოვამ თავისი მუშაობის ხერხები და მეთოდები შეასწავლა 53 მუშას, რომლებმაც მაუდის რთვის ყველა ოპერაციის შესრულება 12,8 წამით დააჩქარეს.

მქსოველი თამარ მეტრეველი შრომის მოწინავე მეთოდების შესწავლამდე ერთი ოპერაციის შესრულებაზე 138 წამს ხარჯავდა, ახლა კი ამავე ოპერაციას 102 წამში ასრულებს. სამუშაო დროის მოგებამ ამხ. მეტრეველს ხელი შეუწყო დღიური ნორმების გადაჭარბებით შესრულებასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში. თუ აქამდე იგი დღიურ დავალებებს 107,5 პროცენტით ასრულებდა, ახლა 13 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებს და მთლიანად საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებს. ამ ღონისძიებათა გატარებით საუკეთესო შედეგებს მიაღწია აგრეთვე კამვოლურ საამქროში მრთველთა ბრიგადამ, რომელსაც ოსტატის თანაშემწე ქ. ანდღულაძე ხელმძღვანელობს. ასეთივე კარგი მაჩვენებლები აქვს საქსოვი საამქროს გ. ხარიტონაშვილის ბრიგადას.

ჩვენი ფაბრიკის მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებასთან ერთად წარმოებაში სისტემატურად ვნერგავთ აგრეთვე სხვა ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივების სტახანოვური შრომის მეთოდებს და ძვირფას ტექნიკურ-ორგანიზაციულ ღონისძიებებს. მაგალითად, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში ინჟინერ ლ. ფხაკაძისა და ოსტატ დოლაბიძის ინიციატივით დაამზადეს ელექტროდენის თვითგამომრთველი მოწყობილობა. ეს მოწყობილობა ჩვენს სართავ მანქანებზეც მოვაწყეთ. ამ ღონისძიების განხორციელება, გარდა იმისა, რომ ელექტროენერგიის მნიშვნელოვან ეკონომიას იძლევა, ამავე დროს სპობს წუნს იმით, რომ თუ რთვის დროს მანქანაზე ფთილა ერთმანეთში გადაიხლართა, მანქანა დაუყოვნებლივ ჩერდება. გარდა ამისა, ელექტროენერგიის ეკონომიის მიზნით განვახორციელეთ ელექტროქსელის მთლიანი რეკონსტრუქცია. იატაკქვეშ მოთავსებული ელექტროდენის განმანაწილებელი ყუთების ნაცვლად დაყენებულია ახალი განმანაწილებელი კარადები, სადაც ელექტროენერგიის დაკარგვა არ ხდება. 160 საქსოვ დაზგაზე მოწყობილია ელექტროძრავის რთვის სვლის შემზღუდველები. თუ აქამდე დაზგის გაჩერების შემთხვევაში ელექტროძრავი მაინც განაგრძობდა მუშაობას და დაზგის გაშვებამდე უმიზნოდ იკარგებოდა ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი რაოდენობა, ახლა თუ საქსოვი დაზგა გაჩერდა, ელექტროძრავიც ჩერდება. მარტო ამ ღონისძიებათა გატარებამ თვითეულ ცვლაში 50 პროცენტი ელექტროენერგიის ეკონომია მოგვცა. ფაბრიკის კოლექტივი ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის მაჩვენებლებით უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ყოველთვის მოწინავეთა რიგებშია.

მოწინავეთა საწარმოო გამოცდილებისა და შრომის სტახანოვური მეთოდების დანერგვამ დიდად შეუწყო ხელი გამომგონებლობისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ზრდას. ფაბრიკაში მოწყობილია სპეციალური ფოტოსტენდი, სადაც სისტემატურად წარმოებს მოწონებულ წინადადებათა შინაარსისა და მნიშვნელობის პოპულარიზაცია, ხოლო მათი წარმოებაში დანერგვის შემდეგ ავტორებს ჯილდოები ეძლევათ. წელს ფაბრიკის რაციონალიზატორებს ჯილდოს სახით მიღებული აქვთ 46.500 მანეთი. წარმოებაში დაინერგა 42 რაციონალიზატორული წინადადება, რაც წლიურად 875 ათას მანეთზე მეტ ეკონომიას იძლევა. აღსანიშნავია საქსოვი საამქროს უფროსის ამხ. ს. ამაშუკელის რაციონალიზატორული წინადადება, რომლის საფუძველზე ხამი ქსოვილის დანესვისა და გაწმენდისათვის მოეწყო გაუმჯობესებული კონსტრუქციის სპეციალური ნათურებიანი მაგიდები, რაც აადვილებს მუშაობას და აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, ამასთანავე იძლევა სამუშაო დროისა და მუშახელის ეკონომიას. თუ აქამდე საჭირო იყო სამუშაოს ერთ-ერთი ოპერაციის ზედმეტად ჩატარება, სახელდობრ ქსოვილზე გამოყოფილი წუნის წინასწარი ამოჩენა და აღნიშვნა, ახლა სანესვ მაგიდები ისეა მოწყობილი, რომ მუშა წუნის მონახვას ადვილად ახერხებს. ამხ. ამაშუკელის წინადადებით საქსოვ დაზგაზე ქსოვილის ქვეშ მოწყობილია დიდი გაბათების ნათურები, რამაც დიდად შეუწყო ხელი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ვინაიდან მუშა ქსოვის პროცესში განათებულ მანქანაზე სწრაფად ამჩნევს წუნს და სპობს მას. მისივე წინადადებით სართავ მანქანაზე ქაღალდის მასრების ნაცვლად გამოყენებულ იქნა ხის მასრები, რამაც უზრუნველყო მასრებზე ნახვევის რაოდენობის გადიდება და შესაძლებელი გახადა ქსელის სიგრძის მომატება. ამ ღონისძიებების განხორციელებამ დაზგების წარმადობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად დიდად შეუწყო ხელი კომპლექსური ეკონომიისათვის ბრძოლას. მარტო ამ წინადადების განხორციელებით წარმოებამ წლიურად ასი ათასი მანეთი ეკონომია მიიღო.

კამვოლური საამქროს უფროსის ს. ნოვიკის რაციონალიზატორული წინადადების საფუძველზე მოსამზადებელ განყოფილებაში, სადაც მხოლოდ ორი მანქანა მუშაობდა, დაიდგა მესამე მანქანა, რამაც გამოიწვია მთლიანად ერთი ცვლის ლიკვიდაცია. ამ ღონისძიების განხორციელებით ფაბრიკა წლიურად 124 ათას მანეთამდე ეკონომიას მიიღებს. მნიშვნელოვანია აგრეთვე ფაბრიკის მთავარი მექანიკოსის ნ. ივანიშვილის წინადადება, რის განხორციელებაც დიდად გაზრდის მატყლის სავარცხნი მანქანების წარმადობას, გააუმჯობესებს ნაწარმის ხარისხს და შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას. საყურადღებო წინადადება წამოაყენა და განახორციელა ოსტატმა მ. სუჩილაშვილმა. მან უზრუნველყო საქსოვი დაზგების მომუშავე სამკუთხედის ღერძის დგარში დამაგრება, რამაც ხუთჯერ გაზარდა დაზგის დგარისა და მბრუნის გამძლეობა. რენტაბელური მუშაობისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების მიზნით წარმოებაში მნიშვნელოვანი წინადადებები განახორციელეს აგრეთვე ოსტატის თანაშემწეებმა ამხ. გაბაძემ, ახალკაცმა, მეთუნუქე სუხიაშვილმა, რემონტის ბრიგადირმა ბადალოვმა და სხვებმა.

1949 წლამდე ფაბრიკაში ზეგეგმითი დაგროვების ნაცვლად თანხების გადახარჯვას ჰქონდა ადგილი, წელს კი მთელ რიგ ტექნიკურ-ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელებით მარტო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით სახელმწიფოს სამ მილიონამდე მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მივეცით.

ფაბრიკამ პროდუქციის გამოშვების გადიდებასთან ერთად გააუმჯობესა მისი ხარისხი, აგრეთვე მნიშვნელოვანი რაოდენობით დაზოგა ნედლეული და სხვა დამხმარე მასალები. კომპლექსური ეკონომიისათვის ბრძოლის გაშლით ფაბრიკამ დაზოგა 56 ტონა შენაზავი და 24 ტონა ნართი, რის ხარჯზეც დამატებით გამოვუშვით რამდენიმე ათეული ათასი მეტრი ქსოვილი. პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება ნაკისრ ვალდებულებასთან შედარებით გაზრდილია 0,8 პროცენტით.

რენტაბელური მუშაობის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს აგრეთვე მანქანა-დანადგარების კარგი მოვლა და მათი სრული სიმძლავრით გამოყენება.

ამ მიზნით დროზე და ხარისხიანად ვასრულებთ როგორც საგეგმო გამაფრთხილებელ, ისე კაპიტალურ რემონტს. დიდი მნიშვნელობა აქვს მუშების მიერ მანქანების გულისხმიერ მოვლა-პატრონობას. იმ მუშათა გამოცდილება, რომლებიც სანიმუშოდ უვლიან მანქანა-დანადგარებს, ფართოდ გავაცანით დანარჩენ მუშებს, რამაც საუკეთესო შედეგები მოგვცა. ფაბრიკაში ბევრია ისეთი მოწინავე სტახანოველი, რომელიც წლობით მუშაობს ერთსა და იმავე დაზგაზე და ერთხელაც არ შენელებულა ამ დაზგების მუშაობის რიტმი, რაც საუკეთესო მოვლა-პატრონობის შედეგია. მაგალითად, კამვოლურ საამქროში ქ. ანდღულაძის ბრიგადის სტახანოველი ამხ. ტახნიძე თვალისჩინივით უვლის მიმაგრებულ დაზგას, თავის დროზე წმენდს და რაიმე დეფექტის აღმოჩენისას იმ წუთშივე იღებს ზომებს მის აღმოსაფხვრელად. ასეთი მაგალითი ფაბრიკაში ბევრია.

ფაბრიკის კოლექტივი მიღწეულით არ დაკმაყოფილდება. ჩვენ კიდევ უფრო გავაძლიერებთ მუშაობას მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებისათვის. საწარმომ წლიური გეგმა 10 თვესა და 3 დღეში შეასრულა და ახლა წარმატებით მუშაობს იმისათვის, რომ გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს 350 ათას მეტრამდე მაღალხარისხოვანი შალის ქსოვილი.

# საერთაშორისო მიმოხილვა

### ტუნისის ხალხი იბრძვის

„ჩაგრულ ხალხთა უძლეველი მოძრაობა ამსხვრევს კოლონიურ უღელს. იმპერიალისტებს, რომლებიც თითქმის საბოლოოდ განდევნილი არიან აზიიდან და რომელთა პოზიციები სერიოზულად შერყეულია ახლო და შუა აღმოსავლეთში, იმედი აქვთ ალჟირში, მაროკოსა და ტუნისში იპოვონ ხელსაყრელი ნიადაგი თავიანთი კოლონიური პრივილეგიების შენარჩუნებისათვის, აგრეთვე ომის მომზადების დაჩქარებისათვის".

ასე დაახასიათეს ალჟირის, მაროკოსა და ტუნისის კომპარტიების წარმომადგენლებმა მდგომარეობა თავიანთ განცხადებაში, რომელიც გამოქვეყნდა მიმდინარე წლის ნოემბრის მათი ალჟირის თათბირის შემდეგ.

ამას წინათ პარიზის გაზეთმა „ფიგარომ" მოიყვანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საფრანგეთის დელეგატის შოველის სიტყვები. შოველი დიდი ამბით მადლობას უძღვნიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატებს, რომლებმაც „დახმარება" გაუწიეს საფრანგეთს. იამუშავეს რა ხმის მიცემის მანქანა, მათ მიაღწიეს იმას, რომ მაროკოში შექმნილი მდგომარეობის საკითხი არ იქნა შეტანილი გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში.

შოველის განცხადება ეჭვს არ ტოვებს, რომ ფრანგ რეაქციონერებსა და ამერიკელ იმპერიალისტებს შორის არსებობს შეთანხმება საფრანგეთის [illegible]

[illegible]

ამრიგად, ტუნისელი ხალხი სულ უფრო აქტიურად იწყებს ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების ზურგუზიულ-პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები, რომლებიც გამოხატავს შეშფოთებას არაბულ ქვეყნებში იმპერიალისტური პოზიციების შესუსტების გამო. ამ მხრივ დამახასიათებელია ამერიკის ყოფილი ელჩის ინდოეთში კენედის გულახდილი ნათქვამი. ამას წინათ კენედიმ ჩიკაგოში ეკონომიური კლუბის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში ანალიზი გაუკეთა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას და განაცხადა „არაბული სამყარო... ჩვენს წინააღმდეგ მობრუნდაო".

### არჩევნები ინდოეთში

ოქტომბრის დამდეგს ინდოეთში დაიწყო ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოებისა და ინდოეთის პარლამენტის არჩევნები. ამჟამად არჩევნები მიმდინარეობს ცალკეულ სამთავროებსა და შტატებში. მეტწილ საარჩევნო ოლქებში [illegible]

არჩევნები გაიმართება 1952 წლის იანვრის პირველ ნახევარში. ადგილობრივი საკანონმდებლო კრებების არჩევნები მარტამდე გასტანს.

მას შემდეგ, რაც 1947 წლის აგვისტოში სახელმწიფო გაიყო და ინდოეთში ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესი, ეს ინდოეთის საკანონმდებლო ორგანოების პირველი არჩევნებია. ამჟამად პარლამენტში ადგილების დიდი უმრავლესობა ამ პარტიას ეკუთვნის. მაგრამ უკანასკნელ წლებში, პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის რეაქციული პოლიტიკის შედეგად, მისი გავლენა სახელმწიფოში მკვეთრად დაეცა.

ამას მოწმობს აგრეთვე არჩევნების პირველი შედეგები. ხედავს რა, რომ მასებში მისი პოპულარობა ეცემა, პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესი აკეთებს ყველაფერს, რაც შესაძლებელია, რომ ხელი შეუშალოს არჩევნების თავისუფლებას.

პოლიცია, იუწყება ბენგალიის გაზეთი „სვადჰინატა", თავს ესხმის პროგრესული ორგანიზაციების შენობებს, აპატიმრებს დემოკრატ მოღვაწეებს, მათ შორის პროგრესული ორგანიზაციების კანდიდატებს არჩევნებში.

კომუნისტური პარტია აკრძალულია ჰაიდერაბადში, ტრავანკორ-კოჩინსა და ინდორში, ხოლო ინდოეთის დანარჩენ ტერიტორიაზე კომუნისტებს სდევნიან. კომუნისტური პარტიის რამდენიმე ასეული წევრი საპატიმროშია.

ინდოეთის მემარცხენე გაზეთები აღნიშნავენ, [illegible]

[illegible] ტრავანკორ-კოჩინში გაერთიანებული მემარცხენე ფრონტის წარმატება ცხადყოფს, თუ რა დიდ ძალას წარმოადგენს ხალხის ერთიანობა. იგი აგრეთვე გვიჩვენებს, რომ პარტია ინდოეთის ეროვნულმა კონგრესმა დაკარგა ხალხის უმრავლესობის ნდობა და მხოლოდ ძალის გამოყენებით ინარჩუნებს ბატონობას.

### ამერიკის ზემოქმედება შვეციაზე

საბჭოთა პრესაში მოყვანილი იყო ბევრი მაგალითი, რომელიც ახასიათებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მთელ რიგ სახელმწიფოთა დელეგაციებზე ზემოქმედების ამერიკულ პოლიტიკას. ამ მაგალითებს შეგვიძლია მივუმატოთ კიდევ ერთი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიაზე სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში გერმანიის საკითხის განხილვისას შვეციის დელეგატმა უნდენმა შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც, კერძოდ, ითვალისწინებს, რომ გერმანიის საკითხი უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს ოთხმა დიდმა სახელმწიფომ.

მაგრამ შვეციის წინადადებას კომიტეტში [illegible]

[illegible] პროექტს გერმანიაში არჩევნების პირობების გამოსაკვლევად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყბადაღებული კომისიის შექმნის შესახებ.

ამრიგად, შვედებს აგრძნობინეს, რომ მათი წინადადება ხელს არ აძლევს ამერიკელებს. ამასვე მოწმობდა ამერიკის სტოკჰოლმის საელჩოს სპეციალური წარდგინება შვეციის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი. ამ წარდგინებაში გამოთქმული იყო უკმაყოფილება იმ წინადადების გამო, რომელიც შვეციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიტანა.

კომენტარი გაუკეთა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის დიქტატის პოლიტიკას, შვედურმა გაზეთმა „მორგონ-ტიდნინგენმა" ნაღვლიანად აღნიშნა: „შვეციამ ამერიკის სტოკჰოლმის საელჩოს მეშვეობით ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მიიღო ოფიციალური საყვედური იმისათვის, რომ ჩვენ გავბედეთ და საკუთარი აზრი გამოვთქვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში".

**ვ. აფონინი**

## პროტესტები დასავლეთ გერმანიის კომუნისტური პარტიის დევნის წინააღმდეგ

[illegible]

## პარი პოლიტის ინტერვიუ

**პრაღა,** 29 დეკემბერი. (საკდესი). ტელეპრესის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება:

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა პარი პოლიტმა 28 დეკემბერს ინტერვიუ მისცა ტელეპრესის სააგენტოს კორესპონდენტს. პარი პოლიტმა განაცხადა: „ინგლისელმა ხალხმა მუშათა კლასის ხელმძღვანელობით უნდა გააერთიანოს თავისი ძალები და გამოიყენოს მთელი თავისი გავლენა იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ მოუღოს ბოლო კორეის ომს.

თუ ინგლისელმა ხალხმა ეს არ გააკეთა, ომის ამერიკელი გამჩაღებლები კვლავაც გააჭიანურებენ მოლაპარაკებას დაზავების შესახებ, ხოლო როცა იგი დაიდება, პროვოკაციულად გამოიწვევენ აგრესიის ახალ აქტებს კორეელი და ჩინელი ხალხების წინააღმდეგ.

ასეთია ის გაკვეთილი, რომელიც უნდა გამოვიტანოთ ახლანდელი მოლაპარაკებიდან. ამერიკელებს რომ გამოიჩინათ მშვიდობის დამყარ[illegible]

[illegible] რა მთლიად კორეაში; ინგლისელ, კორეელ და ჩინელ ხალხთა შორის მეგობრობის ინტერესებისათვის; საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის ხალხმა უნდა იმოქმედოს, რათა მიაღწიოს დაზავებას, დააბრუნოს ყველა ინგლისელი ჯარისკაცი სამშობლოში და უზრუნველყოს სამართლიანი და მტკიცე ზავი, რომელსაც საფუძვლად დაედება კორეელი ხალხის იმ უფლების აღიარება, რომ თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი".

## ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის მოწესრიგებისათვის

**პრაღა,** 28 დეკემბერი. (საკდესი). ტელეპრესის სააგენტო იუწყება:

გაზეთ „ჯორნელში" გამოქვეყნებულ წერილში ამერიკის აზიის ფლოტის ყოფილმა სარდალმა, სამსახურიდან გადამდგარმა ადმირალმა იარნელმა მოუწოდა შეერთებულ შტატებს იმის ნაცვლად, რომ „აღვივებდნენ ახალი მსოფლიო ომის ხანძარს", მიაღწიონ „რუსეთთან ურთიერთგაგებას".

[illegible]

იარნელი წერს: „შეიქმნა უცნაური მდგომარეობა, როცა ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ახალ ტოტალურ ომს მოჰყვება ცივილიზაციის მოსპობა, რომ ბევრი ჩვენი სამოქალაქო და სამხედრო ლიდერი, დაწყებული პრეზიდენტით, აკეთებს ისეთ განცხადებებს მთავრობის გეგმების, იარაღის ახალ სახეობათა შესახებ და ბევრ სხვა რამეზე, რომლებიც ცეცხლზე ნავთს ასხამენ".

იარნელი მოუწოდებს მიაღწიონ რუსეთთან ურთიერთგაგებას გადაუჭრელ საკითხებზე და აცხადებს, რომ შესაძლებელია მსოფლიოში უფრო დამაკმაყოფილებელი მდგომარეობის მიღწევა.

## იემენის მთავრობის გადაწყვეტილება

**კაირო,** 28 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ალ-ბალაგი" იუწყება, იემენის მთავრობამ ოფიციალურად ცნო ეგვიპტის მეფის როგორც „ეგვიპტისა და სუდანის მეფის" ტიტული.

# კორეის ამბები

### კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 28 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 28 დეკემბერს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით ფრონტის ცალკეულ უბნებზე განაგრძობდნენ თავდაცვით ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ და დიდ ზარალს აყენებდნენ მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ცენტრალურ და დასავლეთის ფრონტების ცალკეულ უბნებზე წარმოებდა საარტილერიო ბრძოლები და მზვერავთა შეტაკებები.

სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 თვითმფრინავი იმ თვითმფრინავთაგან, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კორეის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროების მშვიდობიანი დასახლებული პუნქტების გააფთრებულ დაბომბვაში.

## მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

**პეკინი,** 28 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტის 27 დეკემბრის ცნობაში ნათქვამია:

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების [illegible]

[illegible] და რომ, თუ მეორე მხარე არ შეწყვეტს ამ საზიზღარ ტაქტიკას, შეუძლებელია სხდომებზე რაიმე წარმატების მიღწევა.

ქვეკომიტეტის 27 დეკემბრის სხდომაზე მეორე მხარემ [illegible]

[illegible] გების წესით, უნდა გადაიჭრას ორივე მხარის კონსულტაციით, მაგრამ საჭურვლისა და სამხედრო მასალის გარედან შევსება დაზავების პერიოდში სასტიკად აკრძალულია.

30 დღის გაჭიანურების შემდეგ მეორე მხარის უგუნურმა მოთხოვნებმა ჩიხში მოაქცია დღის წესრიგის მე-3 პუნქტის განხილვა. მეორე მხარის მიერ გაჭიანურების პოლიტიკა მხოლოდ იმას გამოიწვევს, რომ მთელი მსოფლიო დაგმობს ამ პოლიტიკას, მაგრამ სრულებითაც ვერ შეცვლის ჩვენს ურყევ პოზიციას. ქვეკომიტეტის დღევანდელ სხდომაზე მეორე მხარე კიდევ არ დასდგომია კონსულტაციების გზას. სხდომის დაწყებიდან ნახევარ საათზე ნაკლები დროის შემდეგ მეორე მხარემ წინადადება შემოიტანა სხდომა 28 დეკემბრისათვის გადაედოთ.

დღის წესრიგის მე-4 პუნქტის განმხილველი ქვეკომიტეტის სხდომაზე ჩვენმა დელეგატმა აღნიშნა, რომ დღის წესრიგის მე-4 პუნქტის განხილვის დასაწყისში 11 დეკემბერს ჩვენმა მხარემ წამოაყენა სრულიად სამართლიანი და გონივრული პრინციპი ყველა სამხედრო ტყვის ორივე მხარის მიერ მალე განთავისუფლებისა და რეპატრიაციის შესახებ მას შემდეგ, რაც დაზავების შეთანხმება ძალაში შევა. მაგრამ მეორე მხარე სხვადასხვა საბაბით უარს ამბობდა მიელო ეს პრინციპი და, ამრიგად, ხელს უშლიდა მოლაპარაკებაში რაიმე პროგრესის მიღწევას. სხდომები გრძელდება უკვე 16 დღეა და მეორე [illegible]

[illegible] რომ განაცხადა, რომ დაატყვევეს ჩვენი მხარის 16.243 სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც უკვე შეტანილი არიან მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ სიებში.

ჩვენმა დელეგატმა მტკიცედ განაცხადა, რომ მეორე მხარის სწორედ ეს სამარცხვინო ცდა — დააკავოს სამხედრო ტყვეები მას შემდეგ, რაც შეთანხმება მოლაპარაკების შესახებ ძალაში შევა, წარმოადგენს დაბრკოლებას, რომელიც მუდამ უშლიდა ხელს პროგრესს სხდომებზე დღის წესრიგის მე-4 პუნქტის განხილვის დაწყებიდან [illegible]

[illegible] საძლო ცნობები, რომლებიც მეორე მხარის სამხედრო ტყვეებს ეხება. მაგრამ მეორე მხარემ უნდა გადმოგვცეს ცნობები 44.000-ზე მეტი ჩვენი სამხედრო ტყვის შესახებ, რაც დღემდე წარმოდგენილი არ არის. მეორე მხარეს აბსოლუტურად არავითარი საფუძველი არა აქვს სამხედრო ტყვეების შესახებ ცნობების შემდგომი გაცვლის საბაბით თავი აარიდოს ყველა სამხედრო ტყვის დაუყოვნებლივ განთავისუფლებისა და რეპატრიაციის პრინციპის მიღებას.

## უნგრეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობა

### ოთხი ამერიკელი მფრინავის უნგრეთიდან გაძევების შესახებ

**ბუდაპეშტი,** 29 დეკემბერი. (საკდესი). უნგრეთის დეპეშათა სააგენტომ შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა:

ამერიკის შეერთებული შტატების მისიამ ბუდაპეშტში უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობა, რომ იმ ფულად ჯარიმას 360 ათასი ფორინტის რაოდენობით, რაც სამხედრო სასამართლომ უნგრეთის ტერიტორიაზე შემოფრენილი ამერიკის სამხედრო თვითმფრინავის ეკიპაჟის თვითეულ წევრს მიუსაჯა, შეერთებული შტატები მისიის მეშვეობით გადაიხდიან. 28 დეკემბერს ეს ჯარიმა გადახდილ იქნა. სასამართლოს განაჩენის შესაბამისად ამავე დღეს უნგრელმა ხელისუფლებმა ოთხი ამერიკელი მფრინავი უნგრეთიდან გააძევეს.

## „პეპო"

### რუსთაველის სახელობის თეატრის ახალი დადგმა

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა პრემიერა — სომხური დრამატურგიის კლასიკოსის გ. სუნდუკიანცის კომედია „პეპო". სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. ალექსიძემ, მხატვრულად გააფორმა სტალინური პრემიის ლაურეატმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ფ. ლაპიაშვილმა, კომპოზიტორია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. კერესელიძე.

მთავარ როლებს ასრულებდნენ მსახიობი ე. მანჯგალაძე (ზიმზიმოვი), სტალინური პრემიის ლაურეატი მ. ჩახავა (ეფემია, ზიმზიმოვის ცოლი), მსახიობი დ. აბაშიძე (პეპო), რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. დავითაშვილი (შუშან), მსახიობები ნ. მჭედლიშვილი (კეკე), ნ. ჩხეიძე (გიქო), ვ. კინწურაშვილი (კაკული).

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

### სასამართლო

## სახელმწიფო თანხების მიმთვისებლები დასჯილი არიან

საჭურვნის № 7 მაღაზიის გამგის თანამდებობაზე მუშაობის დროს პ. ჩანტლაძემ, მაღაზიის სექციონერ-გამყიდველებმა მ. ბაგრამოვამ და შ. დოვლათბეგოვამ სხვადასხვა კომბინაციე[illegible]

[illegible]

## დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

[illegible]

მეორე გვერდი — ჩვენი მძლავრი სამშობლო. ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. ცნობები ფაბრიკა-ქარხნებიდან.

ი. მგელაძე — ქუთაისი დღეს და ხვალ.

**მესამე გვერდი** — ი. ხაჩიძე—პირუტყვის საკვებით აღწერა. ბ. პირადოვი—ჩვენი რესპუბლიკის დოკუმენტალური სიმდიდრენი.

პატარა ფელეტონი — ფ. თვაური—როგორ წაიხხუბნენ ალექსი ვასილევიჩი და გიორგი ხრისტეფოროვიჩი.

პასუხი მკითხველთა შეკითხვებზე—ა. ალექსეევი—თანამედროვე ინდოეთი.

**მეოთხე გვერდი** — დღიური—ნ. რატიანი — „ლენტ ენდ პაუერ". სადღესო თემაზე—სტადიონის ტრიბუნებზე. ნატურალისტის ჩანაწერი — დეკემბერი ქალაქის განაპირა უბნებში. ქალაქის ქრონიკა.

უცხოეთის ინფორმაციები.

**რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი**

## საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

**31 დეკემბერს**

6.25 — სიმღერები სამშობლოზე. 7.30—ტუსკიას და გოკიელის ნაწარმოებები. 11.00 — ქართული ხალხური სიმღერები. 17.15 — ახალგაზრდა შემსრულებელთა კონცერტი. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 18.00 — ლექცია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების შემსწავლელთა დასახმარებლად: ლენინის ნაშრომი „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში". 18.30—საოპერო მუსიკის კონცერტი. 19.15 — სიმფონიური მუსიკა. 19.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. 20.30 — ქალაქის ქსელით — კონცერტი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მ. ნაკაშიძის შესრულებით, რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. 20.45 — კონცერტი. 21.00—საუბარი. 21.20 — კონცერტი. 23.00 — საახალწლო გადაცემა.

## დღეს კინოებში

**რუსთაველის სახელობის**, „ოქტომბერი", „კომკავშირელი", „იასნი" — მისამართი უცნობია; „ხარტაკი" — საიდუმლო კლიმენტზე; „კოლმეურნე" — სიმღერა სიყვარულზე; „დიდუბე" — შუქი კოორეში; „კოლხიდა"—ვეფხვი აბარი; „ამირანი", „თბილისი", 26 კომისრის სახელობის — უკანასკნელი ნაბიჯი.

**სამხედრო ვაჭრობის თბილისის საქალაქო განყოფილების მექანიკური სახელოსნო** აწარმოებს საწერი მანქანების, არითმომეტრების, რადიომიმღებების, პიანინოებისა და როიალების, აკორდეონების, გარმონებისა და სხვა მუსიკალური ინსტრუმენტების, ყველა ფირმის საათების რემონტს და დაწესებულებებში საათების, საკერავი მანქანების მომართვა-დაყენებას, იღებს შეკვეთებს ყოველგვარი საგრავიურო-საშტამპო სამუშაოების შესრულებაზე, საინვენტარო და სატაბელო მარკების, ტრაფარეტების და სხვ. გაკეთებაზე.

ამავე დროს სახელოსნო ხელშეკრულებით კისრულობს დაწესებულებების მუდმივ მომსახურებას.

ანგარიშის გასწორება გადარიცხვით.

თბილისი, მარჯანიშვილის, ქ. № 11, ტელეფონი № 3-87-21

## დღეს თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — ევგენი ონეგინი (დილით), დონ-კიხოტი (საღამოს მე-7 აბ. ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით); **რუსთაველის სახელობის** — პეპო (დილით და საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის** — მარინე (დილით), სანაპიროზე (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — ჭკუისაგან უბედურება (დილით), ვასა ჟელეზნოვა (მე-19, 22-ე აბ., საღამოს); **სომხური დრამის**—ფიქიზი განცდები (დილით), არტისტი (საღამოს); **მუსიკალური კომედიის** — თბილისის ცის ქვეშ (დილით), როზ-მარი (საღამოს მე-8 აბ.); **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—ირმის წყარო (დილით 1-ლი აბ. 10 ს., 26-ე აბ. 2 ს. ძერჟინსკის სახელობის კლუბში); **ხანკულტურის**—ორი ბედნიერება; **ცირკი**—დიდი საცირკო წარმოდგენა.

მოქალაქე კვირიკე მალაქიას-ძე მშვიდობაძემ, მცხოვრებმა აბაშის ქ. № 26, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე ელენე დიმიტრის ასულ ფერაძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე ქეთევან პეტრეს ასულმა მანჯგალაძემ, მცხოვრებმა საპროექტო ქ. № 1, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე ალექსანდრე ხირგოს-ძე დევანოსიძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის I ინსტანცია.

თბილისის სამხატვრო აკადემიის დირექცია, პროფესორ-პედაგოგები და თანამშრომლები იუწყებიან ი. კალაძის შვილის პატარა მარინეს გარდაცვალებას.

მშობლები კალისტრატე, ნადია, ძმები ამირან, ტარიელ, რობინზონ, ნათელა ნიშნიანიძეები, მეუღლე ამირან, დედამთილი ოულია, მულები ეთერ, კატო, მაყვალა, ციცო, ბელა ამირიძეები იუწყებიან მაყვალა ნიშნიანიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 30, 31-XII, 7 ს. სამტრედიის, 31.

შვილები ნესტორ, ვასო, დავით, შალვა, კოტე, რძლები ეკატერინე, თამარ, ვენერა, თამარ, ანა, შვილიშვილები ჟორა ოჯახით, არაკლი, რევი, ოთარ, თამილა იუწყებიან არაკლი ხპორიდონის-ძე თევდორაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-I, ლანჩხუთში.

მალუცა, ლუბა, თამარ, ვალიკო, ზინა, ეთერ, თამარ, ჟორა, გუგული კაციტაძეები, სიძე ი. კვაჭაძე, რძლები სამა ბადურაშვილი, ოლია დემეტრაშვილი შვილებით იუწყებიან მარიამ კაციტაძის გარდაცვალებას. გამოსვენება 30-XII, 3 ს. მოსკოვის, 15.

ძმები ვლადიმერ, ირაკლი, ძმისწული თენგიზ წულუკიძეები, და თამარ, დისწული გურამ, სიძე პ. კახიძეები, ვლადიმერ და მარო კახიძეები იუწყებიან აგრაფინა იოსების ასულ წულუკიძე-ცაგარლის გარდაცვალებას. გამოსვენება 30-XII, 3 ს. საბჭოს მოედანი, 5.

ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობის ინჟინერ-ტექნიკოსები იუწყებიან აგრაფინა იოსების ასულ ცაგარლის გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოს — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოს — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსა და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-79.